შინაური საქმეები

№ 29

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი სამ მან.

წელიწადი მეოთხე.

ჟოგველ—კმირეული გაზეთი

კვირა, 18 სექტემბერი 1911 წელი

ყოველ-კვირეულ გაზეთ

„შინაური საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება ოდესა ოფლოვსკაიაზე, ქ. ქუთაისში (სასულიერო თეატრი—კაზაკოვის შესახვევში № 17), და თბილისში კავალერიულ სოფელთან სოფ. ნინოშვილის ბაზარში, სამნახანდელს შუაში მაღაზიაში. ეგზეკეს ყოველ თვეში ოთხ ნომერი, ამ. ხელის მოუწერლებს ეთხოვენ გაზეთის ფასი მოელონ წლის ერთად გამოუგზავნონ.

წლიური ფასი: 3 მან. || ნახ. წელი: 2 მან. || მესამედ წელს ბოლომდის 2 მან. || მეოთხედ 10 შაური.

ადგილი: ქუთაისი: „შინაური საქმეებს“ ოფლოვსკაია.

შინაარსი: 1) დაკარგული დიდება; 2) სახარება ისტორიაში ბლ. ი. ლუკიანოვისა; 3) სტოლიპინის მკვლელობის გამო—ხელისა; 4) სიტყვა—ბლ. მღ. სიმონ ჭილიძისა; 5) კრიტიკული შენიშვნები—ხომლელისა; 6) კვირიდამ-კვირამდე; 7) რას გვწერენ? ნიკორწმიდიდან—კიკორწმიდელისა; 8) ნარევი; 9) მადლობის გადმოცხადება—მღ. ბიკტორ ტყემალაძისა.

დაკარგული დიდება.

(გაგრძელება *).

ჩვენ დაკარგულ დიდებას ათონის ივერიის ღვთისმშობლის მძინების მონასტერს უკავია საუცხოოდ სილამაზის, ჰაერის და მდებარეობის ადგილი ათონის მთაზე, რომელიც მდებარეობს ხალკიდონის ნახევარ კუნძულზე ოსმალეთში. თუმცა ქართველი ბერობა ჯერ კიდევ 787 წლიდგან იყო ათონზე, მაგრამ ივერიის მონასტერი გაშენდა მხოლოდ 980—985 წლებში. მის გაშენების შესახებ ყველა წყაროები, როგორც ქართული, ისე ბერძნული, სომხური, არაბული და სხვ. თანახმად მოგვითხრობენ შემდეგს: როცა საბერძნეთის იმპერატორი რომანოზ II გადაიცვალა, საბერძნეთის ტახტი დარჩა ორ მკირეწლოვან

ქ. ზ. ...ი შინ. საქ. № 28.

საბერძნეთი ...

...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემკვიდრეს ბასილს და კონსტანტინეს, რომლებიც მამამ თავის სიცოცხლეშივე აკურთხა მეფეთ. მათი მცირეწლოვნობის გამო სახელმწიფოს ჯერ დედა მართავდა და შემდეგ ერთი მეორეზე ვინმე ნიკიფორე ფოკა და იოანე ციმისხი. უკანასკნელის სიკვდილის დროს ბასილი და კონსტანტინე უკვე სრული წლოვანი იყვენ და კიდეც შეუდგენ სამეფოს მართვას, მაგრამ ეს არ იამა მათ თანამმართველ კარის კაცს ვარდა სკლიროსს, ტომით სომეხს, რომელიც აუჯანყდა ახალგაზდა მეფეებს და მოინდომა საბერძნეთის ტახტის ხელში ჩაგდება. ვარდამ მოიშველია სომხები, გადმოიბირა საბერძნეთის ჯარის ნაწილიც და სძლია მეფის ჯარს. ასეთ გაჭირვებულ დროს ბასილმა და კონსტანტინემ მიმართეს საქართველოს მეფეს დავით კურაპალატს და სთხოვეს მას შემწეობა ვარდას წინააღმდეგ. დავითმა გაუგზავნა მათ 12.000 რჩეული მეომარი, რომელთა მთავარ-სარდლათ დანიშნა თორნიკე ერისთავი, რომელიც ცოტა ხნის წინეთ აღკვეცილ იყო ბერათ ათონს. პირობისამებრ ნადავლი ქართველების უნდა ყოფილიყო. ბრძოლა მოხდა 979 წელს. თორნიკემ ერთი შეტევით გააქცია ვარდას ჯარი. ვარდა თავის მხლებლებით ძლივს გადურჩა სიკვდილს და სპარსეთის მეფე ხოსროს შეაფარა თავი აუარებელი ნადავლი დარჩათ ქართველებს ამ გამარჯვების შემდეგ. გარდა ამისა მეფეებმა ბევრი ფული და განძეულობა აჩუქეს თორნიკეს. გაათავა თუ არა თავის საქმე, თორნიკე მთელი ნადავლით და მეფეების მდიდარ საჩუქრებით დაბრუნდა ათონს სადაც იოანე ქართველთან ერთათ ააგო ჩვენი დაკარგული დიდება ივერიის მონასტერი.

თავის გარეგანი შეხედულობით ივერიის მონასტერი წარმოადგენს მაგარ ოთხკუთხ ციხეს, მაღალი კედლებით შემოკავებულს. ზღვის მხრით მას იცავს მაღალი კოშკი, რომელიც ნავთსადგურის პირზე სდგას.

მონასტრის შუაგული უკავია უმთავრეს საკრებულო ტაძარს, რომელიც აშენებულია ღვთისმშობლის მიძინების სახელობაზე.

ეს ტაძარი უძველესი შენობაა ივერონში.*)

*) ივერონს ივერიის მონასტერს ეძახიან შემოკლებით.

იმის გარდა ივერიის სავანეში შესანიშნავია კიდევ ორი ტაძარი ნათლისმცემლისა და კარის ღვთისმშობლისა და ორი ეკვდერი საკრებულო ტაძრისა. გარდა აღნიშნულ ტაძრებისა სავანეში მოთავსებულია კიდევ 16 პარაკლისი ან პატარა ეკლესია სხვა და სხვა წმიდანების სახელზე.

გარეგანი შეხედულობით საკრებულო ტაძარი ჯვარის სახეს წარმოადგენს. პირველათ იგი უგუმბათოთ ყოფილა აშენებული, როგორც ვსთქვით თორნიკესა და იოანე ივერის მიერ 982—985 წლებში, შემდეგ განუახლებია გიორგი მთაწმიდელს 1053 წ. და გუმბათითაც მასვე შეუმკვია, რომელიც (გუმბათი) დაუდგამს ოთხ მარმარილოს ქვის სვეტზე და მთელი ტაძარიც ტყვიით დაუხურავს.

მოგზაურების და მლოცველების (ბარსკი, ეპ. პ. უსპენსკი, დეკ. კონჩუევი და სხ.) სიტყვით შინაგანი მორთულობა ტაძრისა შესანიშნავია ყოველი მხრით, როგორც მხატვრობით, ისე ნივთებით, რომლებიც წარმოადგენენ საუცხოვო ხელოვნების ნაწარმოებს. აი როგორ აგვიწერს მიტროპოლიტი ტიმოთე (გაბაშვილი), რომელმაც მოიარა ივერიის მონასტერი 1754—1757 წლებში, ტაძრის შინაგან მორთულობას: „შინაგანმა ეკლესიამ იმდენათ განგვაცვიფრა თავის სილამაზით და სიმდიდრით, რომ სულ დაგვავიწყა ყველა ჩვენგან ნახულ ეკლესიების ხუროთმოძღვრების სიმდიდრე. რა ხელმა გააკეთა ასეთი წმინდა ჩუქურთმა კედლებზე! ივერიის ტაძრის იატაკი მოფენილია ფერადი ქვით (ЯШМА).... კედლები აშენებულია მარმალილოითა და ქაშანარის აგურით, იკონოსტასი მორთულია საუცხოვო ხელობის ოქროსფერი ყვავილებით და ქსოვილებით, საკურთხეველი და ილუმენის დასაჯდომელი მოოქვრილი, საუცხოვო ქუჩურთმის ფანჯრები ფერადი შუშებით ყვავილების მსგავსათ, ჭანდი და შანდლები ბროლისა და ვერცხლის.“ მსგავსადვე აგვიწერენ ამ შესანიშნავ ჩვენი დიდების ნაშთს სხვა მოგზაურებიც და განსაკუთრებით ბარსკი, რომელიც თითეულ საგანს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ეს მოგზაურები და მლოცველები, ვინც კი ათონზე ყოფილა, ერთხმათ აღიარებენ, რომ ათონზე არაფერია უშესანიშნავესი და უკეთესი ივერიის მონასტერზეო. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს სავანე სავსებით ქართულ გემოზეა მორთული და როგორც ასეთი წარმოადგენს ჩვენი ძველი ცხოვრების და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშს. მით უფრო სამწუხაროა ამ განძის დაკარგვა, მით უფრო სამწუხაროა მისი სხვის ხელში ჩაგდება.

გაზეთის ვიწრო ფარგლები ნებას არ გვაძლევენ ყველაფერი გადმოვცეთ, რასაც ამ ჩვენ დაკარგულ დიდების განძეულობაზე ლაპარაკობენ, მაგრამ არ შეგვიძლია არაფერი ვსთქვათ ივეროს უძვირფასეს, უშესანიშნავეს საუნჯეზე—ივერიის კარის ღვთისმშობლის ხატზე. მაგრამ ამაზე შემდეგ.

შემდეგი იქნება.

სახარება ისტორიაში.

(რუსულით.)

ბევრი თქმულა და დაწერილა შესახებ ქრისტიანობის გავლენისა ქვეყნიერების ცივილიზაციაზე. იმ დროიდგან, რაც ისტორიულმა მეცნიერებამ დაიწყო აღორძინება ევროპაში, ყველა მიმართულების და რწმენის ხალხმა ერთნაირად დააფასეს ქრისტიანობრივი სარწმუნოების დიდი განმანათლებელი მნიშვნელობა. თვით იმ მწერლებმაც-კი, რომლებიც უარ-ჰყოფდნენ ღვთაებრივს დასაბამს ქრისტიანობისას, და უცქეროდნენ მას, როგორც უბრალო ისტორიულ მოვლენას, იმ უდიდესი გავლენის დიდი გულსმოდგინება ახსნაზე გამოიჩინეს, რომელიც იქონია ქრისტიანობამ ახალი კაცობრიობის ბედზე და ხასიათზე.

როდესაც გალილიას ტბის ნაპირებიდგან გაისმა ქვეყანაზე სანუგეშო სიტყვები: „შეიყვარეთ თქვენი მოყვასი, როგორც თქვენი თავი“,—ეს ჰეშმარიტად დიდი ახალი ამბავი იყო, სასიხარულო ამბავი იყო ხალხისათვის. საუკეთესო განწყობილება ერთმანეთში, მთელი ბედნიერი მომავალი იშლებოდა კაცობრიობის წინ. წინაალმდეგ ბოროტებისა, რომელიც აჭირვებდა საზოგადოებას, პირველად გამოსჩნდა მთელი საიდუმლოება; უცნობი ძალა შედიოდა ცხოვრებაში, რომ გაეთბო იგი, გაეკეთილოვანებია და გაებედნიერებია.

ეს ძალა—სიყვარულია.

ადამიანს უნდა უყვარდეს, რომ ასიამოვნოს ღმერთს, რომ ბედნიერი იყოს ქვეყანაზე, უყვარდეს არა მხოლოდ თავისიანები და მახლობელნი, არამედ ყველანი და თვითეული, თვით მტრებიც კი,—და სხვებისთვის სცხოვრობდეს იმდენად, რამდენათაც თავისთვის. მხოლოდ მაშინ მიიღებს ცხოვრება ფასს და ინტერესს და შემსუბუქდებიან მისი უბედურებანი. განა შეუძლიან რომელიმე ფილოსოფიას ასე უბრალოდ, ნამდვილად და მასთან ასე ღრმად ახსნას გამოცანა ქვეყნიური არსებობისა და უჩვენოს მას სახელმძღვანელო კანონი?

ჩვენ აღზრდილნი და ფერცვალებულნი სახარების სწავლით, შევეჩვიეთ ეხლა მის ვითარებას, ყოველ დღე ვიმეორებთ მაცხოვრის ლოცვას, და ხშირად არც-კი ვჩერდებით იმაზე, რა დიდებულ აზრს შეიცავს მისი მარტივი, დასაწყისი სიტყვები: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“. ამ სიტყვების განუსაზღვრელი აზრი, მთელი მისი სიღრმით, უფრო ადვილად გაიგება ისტორიულად. იმ დროის ხალხის უსწორობაში, და საზოგადოებრივ უსამართლოებებში, რომლებიც გამეფებული იყვნენ მაშინდელ რომის სახელმწიფოში, ამ სიტყვებში გამოითქმეოდა კაცობრიობის ახალი იდეალი, რომელიც ძირიანად ეწინააღმდეგებოდა ძველებურ შეხედულებებს და გრძნობებს. ყველა ადამიანები ძმები არიან, შვილები არიან ერთი ზეციური მამისა, რომელსაც უყვარს იგინი განუსაზღვრელად... წარმართობის ხანას, თავის ორმოცი საუკუნის განვითარებით, ვერ შეეძლო ამაღლებულიყო ასეთ წარმოდგენამდის; ჩვენ დროს, მთელი მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაყი განათლების წარმატებით, ვერ შეეძლო შეექმნა რაიმე ამაზე უსრულესი;—უნდა ვიფიქროთ, რომ თვით უშორესი მომავალიც ვერასოდეს ვერ აღემატება მას.

ამნაირად, „მოძღვრება სიყვარულისა", რომელმაც ნელ-ნელა გამოსცვალა მთელი წეს-წყობილება და აზრი ადამიანის ცხოვრებისა,—აი პირველი და უმთავრესი განმანათლებელი გარჯილობა ქრისტიანობისა ისტორიაში,—და თვით ამაყი რაციონალიზმი ყოველთვის უნდა მოსდრკეს და მტვრად იქცეს მის წინაშე.

შემდეგ, რა უფრო ანცვიფრებს სახარების ისტორიულად გამომეძიებელს,—ეს უმაღლესი „სულიერობა", რომელიც მთლად ამ ქმნილებაში მოდებულია.

ქრისტიანობრივი მოძღვრება, მქადაგებელი სულიერის ინტერესების—ჭეშმარიტების, სიმართლის და სიკეთის უპირატესობისა, მომწოდებელი სიმდაბლისა, თავგანწირულობისა და ზნეობრივ სიწმინდისაკენ,—ამ შემთხვევაშიაც გამოსჩნდა მძაფრ პროტესტად წინააღმდეგ საშინელის გარყვნილობისა, რომელიც მთლად ხრწნიდა ძველებურ ქვეყანას.

ყველა, ვისაც ყურადღებით უკითხნია სახარება, შეამჩნევდა გულგრილობას, რომ არა ვსთქვათ უგულებელს ყოფა, რომელიც გამოსჩანს მასში საზოგადოებრივ მოქმედებისადმი. იგი, სახარება, როგორღაც ცერად ეპყრობა რომის იმპერიის იმ დროის არსებულ პოლიტიკურ წეს-წყობილებას: არ გამოსთქვამს მისადმი თანაგრძნობას, მაგრამ არც ჰაიცხავს მას. მთელი ყურადღება მაცხოვრისა მიქცეულია თითქმის განსაკუთრებით გაკეთილოვანებაზე, სრულყოფაზე ადამიანის კერძო ბუნებისა, მისი შინაგანის არსებობისა. სჩ ნს, მხოლოდ ერთი—ცხოვრება შინაგანი, ანუ სულიერი, შეადგენს საგნს მისის მზრუნველობისას. რაც შეეხება ფორმებს და ხასიათს საზოგადოებრივის წეს-წყობილებისას, რომლისაკენაც ჩვენ უნდა მივიღტოდეთ, და საზოგადოდ—სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ მდგომარეობისას,—ჩვენ ვერ ვპოულობთ სახარების სწავლაში ამის შესახებ არავითარ გადაწყვეტილ ჩვეულებებს.

პირველ შეხედულებაზე ეს გარემოება შეიძლება ეჩვენოს კაცს ნაკლულევანებად, ან არა სისრულად მაინც. მაგრამ სწორედ ამაში გამოიხატება ქრისტიანობრივი სწავლის ერთ-ერთი უდიდესი სისრულე და უმჯობესობა წინაშე ძველი დროის ყველა სარწმუნოებებისა. ავიღოთ მაგალითისათვის წიგნები, ან საღმრთო წიგნები ჩინელებისა, ვედები ინდუსებისა, ირანის ზენდ-ავესტა, ან თუნდაც შემდეგი დროის კორანი. კონფუციის, ზოროასტრის და მაჰმადის რელიგიოზურ სისტემებში ხშირად შესანიშნავის სისრულით და წყობილობით მოთავსებულია სწავლა სახელმწიფოებრივ წეს-წყობილების ფორმებზე, ხელმწიფის ხასიათზე, ქვეშევრდომთა ერთმანეთის მოპყრობასა და უფლებებზე, ჩინოვნიკების მოვალეობებზე,—ერთის სიტყვით, სახელმწიფოსთვის თითქოს მიცემულია იდეალი, გამოყვანილია ესა და ეს პლანი, რომელიც უნდა განხორციელდეს ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში. და მართლაც, დროთა ვითარების შემდეგ, ეს პლანი, ცოტათი თუ ბევრად, შესრულებულ იქმნა, იდეალი განხორციელებულ იქმნა. მაგრამ რა გამოვიდა? როგორც-კი შესრულდა ეს აზრი, ხალხის მთელი ისტორიული ცხოვრება შეჩერდა. საუკუნოები და ათასი წლები გადიოდნენ შემდეგ ჩინეთისა და ინდოეთის ცხოვრებაში, ბევრ-გვარი ცვლილებებები განიცადეს ამ ქვეყნებმა, მაგრამ სახელმწიფოებრივი სხეული მაინც რჩებოდა მათში უძრავად, გაციებულად, მიჯაქეულად თავიანთ გაქვავებულ ფორმებზე. და ეხლაც კიდევ სდგანან ისინი ისტორიული ქვეყნის საზღვარ-გარედ, არ იღებენ მონაწილეობას მის მოძრაობებში, და წარმოადგენენ გაციებულ ჩონჩხს იმ ცხოვრებისას, რომელიც ოდესღაც მათში სდუღდა. ამასვე ვხედავთ ჩვენ მაჰმადიანთა აღმოსავლეთზედაც.

სახარებაში არ არის არავითარი მზგავსი იდეალი. მაცხოვარი არ ურჩევდა ხალხებს,—როგორ უნდა მოაწყონ მათ თავიანთი საზოგადოებრივი ცხოვრება, ან როგორი სახე მმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველობისა ამოირჩიონ,—არამედ სცდილობდა მხოლოდ გაეკეთილოვანებია და აღემატებია ადამიანის კერძო სულიერი ბუნება. მაცხოვარმა, როგორც ღვთაებრივმა გულთამხილავმა, იცოდა, რომ ერთად-ერთი წყარო საზოგადოებრივის, პოლიტიკურის და ყოველივე ისტორიული ცხოვრებისა არის ადამიანის სული, და რომ, რამდენათაც იგი სრულია, იმდენათ სრული იქნება ყოველივე მის-მიერ შექმნილი. მაშასადამე, დანიშვნა მისი მოქმედებისათვის რაიმე განსაზღვრული ფორმებისა იქნებოდა შეჩერება მისის წარმატებისა, რომელსაც დანიშნული აქვს უსაზღვრო განვითარება. მხოლოდ ერთს აღთქმას, ერთს მიუვალ იდეალს უჩვენებს ხალხს მაცხოვარი: „იყავით სრულნი, როგორც სრულია თქვენი ზეციერი მამა“.

ამნაირათ, ქრისტიანობრივი სარწმუნოების თვისებაში სძევს წინდი ჩვენის განუსაზღვრელი მომავალის განათლებისა, რომელიც თვით ქრისტიანის სულში, მის სრულ-ყოფის დაუშრეტელ მისწრაფებაში, ყოველთვის ჰპოვებს წყაროს თავის შემდეგის აღორძინებისას და განვითარებისას.

აი უმთავრესად ხასიათი სახარებისა, როგორც ისტორიული ძალისა, რომელიც მოქმედებდა საუკუნოების განმავლობაში.

ამის შემდეგ არ შეიძლება არ დათანხმება იმისა, რომ სახარება არამც თუ მტერი არ არის პროგრესსისა, როგორც ეს ეჩვენებოდა შუა საუკუნოების კათოლიკების სამღვდელოებას, არამედ, პირიქით, შეიცავს ყველა პირობებს პროგრესისას.

მეორეს მხრივ, არ არის ძნელი გაგება აგრეთვე იმისა, რა პატივსადები ადგილი ეკუთვნის ქრისტიანობას იმ ელემენტებში, რომლებიდგანაც შესდგა ახალი ევროპის ცივილიზაცია.

მართალია, სწავლულები ამის შესახებ გამოსთქვამენ სხვა და სხვა აზრს. ნემცების ისტორიკოსები, მომეტებულ ნაწილად, აძლევენ უპირატესობას გერმანიის საფუძველს, რომლის ახალი ძალითაც კაცობრიობა აღორძინდა ახალი ცხოვრებისთვის. გუმანისტები და საზოგადოდ თაყვანისმცემლები კლასსიკური სიძველისა ხედავენ უმთავრეს საფუძველს ჩვენის ისტორიულის ცხოვრებისას ძველი ქვეყნის გადმოცემულებებში.

ამის შესახებ უნდა ვთქვათ, რაც უნდა დიდი გავლენა ჰქონდეთ სხვა გარემოებეებს,—სახარებას მაინც იმდენად ეკუთვნის პირველობა ისტორიულ შედგენილობაში და განვითარებაში ჩვენის განათლებისა, რამდენათაც საზოგადოდ რელიგია უმთავრესია კაცობრიობის ცხოვრების ყველა სხვა ინტერესებზე და მოვლენეებზე; ვინაიდგან, რელიგია ფართო მნიშვნელობით გაგებული, არის ჯამი იმ უმაღლეს ზნეობრივი რწმენებისა, რომლებითაც ხელმძღვანელობს კაცი მთელს თავის სიცოცხლეში. იგი შეიცავს კაცის ძირითად ცნებებს სიკეთეზე, სიმართლეზე, სამართლიანობაზე და კანონზე,—ყველა იმ საუკუნო სულიერ სიკეთეებზე, ურომლისოდაც შეუძლებელია არც განვითარება, არც თვით ცხოვრება. მთლად გარეგანი მოქმედება, — საზოგადოება, პოლიტიკა, ხელოვნება და მეცნიერება,—ყველგან და ყოველთვის ყოფილან და იქნებიან მხოლოდ ახრდილი ამ უმაღლესი პრინციპების ვითარების და თვისებისა.

მღ. იოანე ლუკიანოვი.

სტოლიპინის მკვლელობის გამო.

†

5 სექტემბერს საღამოს 10 საათზე და 12 წუთზე ტრაგიკულად გადაიცვალა მინისტრ-პრემიერი პ. ა. სტოლიპინი. საქმე ამნაირათ მოხდა. პ. ა. სტოლიპინი ხელმწიფე იმპერატორს ეახლა ქ. კიევში, სადაც მისი უდიდებულესობა უნდა დასწრებოდა ალექსანდრე III ძეგლის გახსნას. 1 ენკენისთვეს ხელმწიფე იმპერატორი და სტოლიპინი ქალაქის თეატრში

დაესწრენ წარმოდგენას. ანტრაქტის დროს, როცა სტოლიპინი ვიღაც გრაფს ელაპარაკებოდა, მას მიუახლოვდა ფრაკით გამოწყობილი ახალგაზდა კაცი და ორჯერ ზედიზედ დაახალა რევოლვერი. შეიქნა ჩოჩქოლი. მსროლელი იქვე დაიჭირეს; აღელვებულმა ხალხმა ბევრი სცემა თავზე ხელაღე ულ ყმაწვილს და, როგორც ამბობენ, ერთმა აფიცერმა ხმლითაც კი დასჭრა თავში. სტოლიპინი მაშინვე სამკურნალოში წაიყვანეს, სადაც აღმოჩნდა, რომ ტყვიას მარჯვენა ხელში დაეჭრა, თირკმელი გაეკაწრა და ხირხიმალში გაჩერებულიყო. დაჭრილი სტოლიპინი პირველ დღეებში გუნებაზედაც ცუდათ არ ყოფილა და მორჩენის იმედსაც იძლეოდა. როგორც მოსალოდნელი იყო ის გმირულად შეხვედრია ამ შემთხვევას და იმავე დღეს ხელმწიფე იმპერატორისთვის შეუთვლია: „მოხარული ვარ, თქვენი გულისთვის მოვკვდეო.“

აპერაციის შემდეგ ავათმყოფი ცუდათ გამხდარა, რადგან სისხლი ჩაქცევია მუცელში. 5 სეკტემბერს ს ღამოს მღვდელი დაუბარებია, ზიარებულა და, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, **10** საათზე და **12** წუთზე გადაცვლილა.

გამოძიებამ გამოარკვია, რომ მკვლელი გვარათ ბაგროვი ყოფილა, ტომით რუსი, ხელობით ნაფიცი ვექილის თანაშემწე. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ ბ. ბაგროვი ერთი მხრით მაძიებელ პოლიციის აგენტი ყოფილა და მეორე მხრით სოციალ-რევოლიუციონურ პარტიის აგენტიც. როცა პარტიას ბაგროვის მოქმედებაში ეჭვი შეუტანია, წინადადება მიუცია ან სტოლიპინი მოჰკალი და ან თითონ უნდა მოგკლათო. მასაც პირველი ურჩევია და კიდეც შეასრულა, როგორც ვხედავთ.

ამნაირათ გამოესალმა წუთისოფელს ერთი უწარჩინებულესი სახელმწიფო მოღვაწე,— მოღვაწე რომელსაც უეჭველია სამშობლო მხარის უზომო სიყვარული ამოძრავებდა.

პ. ა. სტოლიპინი დაიბადა 1862 წ. 1885 წ. მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემათიკური ფაკულტეტი. ერთ ხანს იგი სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში მსახურებდა, შემდეგ მაზრის თ-აზნაურთა წინამძღოლათ იყო ქ. კოვნოში და მერმე იქვე გუბერნიის წინამძღოლათაც. **1901** წ. სტოლიპინს ქ. გროდნოს გუბერნატორათ ვხედავთ, ხოლო 1903 წ. გადაყვანილ იქმნა ქ. სარატოვში იმავე თანამდებობაზე.

პირველი სათათბიროს მოწვევის დროს სტოლიპინს ჩაბარდა შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი, ხოლო ამავე სათათბიროს დათხოვნის შემდეგ მან დაიკავა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ადგილი.

რამდენათ პატივისცემის ღირსი იყო განსვენებულის პოლიტიკური მიმართულება, ჩვენ ამას არ შევეხებით. დღეს რუსეთში რამდენი თავია, იმდენი სხვა და სხვა პოლიტიკური მიმართულებაა, დღეს პირველი კლასის გიმნაზიელიც კი პოლიტიკანობს და სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს. ამისანა დროში ისევ ის სჯობს, რომ განსვენებულის სახელმწიფო მოღვაწეობა და პოლიტიკური მიმართულება ისტორიამ დააფასოს და აგრეთვე თითეულმა მოქალაქემ, ვინც კი იცნობდა განსვენებულის მოღვაწეობას, თავის საკუთარ გულში. მხოლოდ არ შეგვიძლია ჩვენი გულის წყრომა და ზიზღი არ გამოუცხადოთ ყველა იმ პოლიტიკურ, თუ სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც თავის პოლიტიკურ-სოციალურ აზრების გასაყვანათ კიდევ ტერორს ებღაუჭებიან. თუ ამის მეტი ღონისძიება არ მოგვეპოება სხვა და სხვა რეფორმების განსახორციელებლათ, უნჯობესია სულ არ იქნეს ეს რეფორმები, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო შეიქნება მთელი კაცობრიობა მათ შეეწიროს და მაშინ ვილასთვის იქნება საჭირო ეს რეფორმები? ერთხელ და სამუდამოთ უნდა ალვიბეჭდოთ გულის ფიცარზე, რომ უცოდველი, შეუცთომელი არავინ არ არის და არც იქნება, არც შეიძლება ოდესმე ისეთი პოლიტიკური წესწყობილება დამყარდეს, თუნდ სოციალიზმიც განხორციელდეს,—რომ ყველანი კმაყოფილი შეიქმნენ. და ეს მიტომ

ხდება, რომ დღეს ყველას თავის პირადი ბედნიერება ინტერესებს და არა საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი; დღეს ცხოვრებაშიაც და მწერლობაშიაც გამეფებული პიროვნება, რომელიც თვით კი არ უნდა ემსახუროს საზოგადოებას, არამედ საზოგადოება უნდა ემსახუროს მას, საზოგადოებამ უნდა მისცეს მას ყოველგვარი ბედნიერება.

მით უფრო საშიშია დღეს ტერორის გამეფება და ამას კარგათ უნდა აკვირდებოდეს ყველა, ვისაც კაცობრიობის კეთილდღეობა უნდა...

ხედი.

სიტყვა

თქმული დასავლეთ საქართველოს სამრევლო სკოლების მასწავლებელთადმი ქ. ქუთაისს 1902 წლის 23 ივნისს.

> რომელსა უყვარდეს ძმა თვისი იგი ნათელსა შინა არს და არა არს მის თანა საცთური. (1 კათ. იოან. 2—10).

საყვარელნო ძმანო! წმიდა და დიდი მოციქული იოანე ღვთისმეტყველი ასე ეტყოდა ქრისტეს მიმართ მორწმუნეთა: „რომელსა უყვარს ძმა თვისი იგი ნათელსა შინა არს და არა არს მისთანა საცთური“. ხოლო რასა შინა უნდა მდგომარეობდეს ეს სიყვარული ამას იგივე მოციქული განმარტებს შემდეგის სიტყვებით: „რომელსა ჰქონდეს სიკეთე ამა სოფლისა და ხედავდეს ძმასა თვისსა ნაკლულევანებასა შინა, იმას დაუხურავს გული თვისი, — ვითარ არს მის თანა სიყვარული ღმერთისა (1 კათ. იოანესი 3—17); ეე იგი თუ შენ ძმაო ჩემო, აღვსილი ხარ ყოველითა სიკეთითა ასე რომელ არავითარ ნაკლულევანებას არ გრძნობ, მაგრამ მოყვასისათვის არაფერი არ გემეტება, შენ ვერ იტყვი რომ საყვარული იყოს შენ თანა; და ბოლოს იტყვის: „ყოველი, რომელსა სძულდეს ძმა თვისი იგი კაცის მკვლელი არს და თქვენ უწყოდეთ, რომელ არავითარ კაცის მკვლელს არა აქვს ცხოვრება საუკუნო (1 კათ. იოანესი 3—15). გარნა რა არის სიყვარული?

სიყვარული არის ერთი იმ დიდი სათნოებათაგანი, რომელიც აცხოვრებენ კაცსა; — უკეთუ მქონდეს სარწმუნოება ვიდრე მთათაცა ცვალებამდე, იტყვი მოციქული პავლე, და სიყვარული არა მაქვნდეს არა რავე ვარ. და მართლაც სიყვარული არის სათავე ყოველთა კეთილთა მოქმედებათა; მხოლოდ მაშინ არის კაცი ნამდვილი ქრისტიანე როდესაც გული მისი სავსეა კაცთმოყვარებითა; სიყვარული ადამიანს კაცის შუნებასა თავდავიწყებამდე, და შეაბრძოლებს ყოველს ხელშემშლელს და ადამიანის დამღუპველსა გარემოებასა. — მხოლოდ ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ღმერთ შემოსილნი წმინდანნი არ დაიშურებდნენ წუთიერს ცხოვრებასა მოყვასის სიყვარულისათვის კერძოდ და კაცობრიობის კეთილდღეობისათვის საზოგადოთ. სიყვარულით აღმფრენილი ადამიანი ნეტარი და ბედნიერია მაშინაც-კი, როდესაც მოკლებულია ყოველგვარს მასზრდოებელ საშუალებასა. სიყვარული დაალბილებს კაცის ბუნებასა და ამ სახით ადამიანი ერთის გრძნობით აღიჭურვება, როგორც მაღალთან ისე მდაბალთან; — „სიყვარული არა მაღლობინ“, იტყვის ნეტარი პავლე.

მოვიქცეთ თქვენდამი ძვირფასნო მასწავლებელნო, და გეტყვი რომელ უკეთუ ყოველი ადამიანის გული უნდა იყოს აღვსილი სიყვარულით, ეტესად თქვენი ვინაიდგან თქვენ ხართ აღმზრდელნი იმ მოზარდ თაობისა, რომელთა მსგავსთა გამო ბრძანა მაცხოვარმა: „ამინ გეტყვით თქვენ უკეთუ არა მოიქცეთ და ქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა (მათ. 18—3). მაგრამ სოფლიური ცხოვრება ისე შეცვლილს და დაამახინჯებს ადამიანის ბუნებასა, რომელ მასში ვერ იპოვნი მცირეოდენსა სხივსა იმა სიყვარულისა, რომელიც დაბადებულა მას. აი აქ არის პირველი მოვალეობა თქვენი; თქვენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილის მოქმედებით და დარიგებით ისე უნდა განამტკიცოთ მოსწავლეთა შორის თანდაყოლილი სიყვარული, რომ ვერავითარმა დაბრკოლებამ ვერ შეარყიოს იგი. კეთილი მასწავლებლობა მით არის ძნელი, რომელ იმან უნდა განიცადოს მოქმედება მოსწავლისა და განსვენებულის ბუნება მისი, ერთი სიტყვით მასწავლებელმა უნდა დაიმდაბლოს თავი თვისი და მოთხოვნილების დროს გაუთანასწორდეს მოსწავლის მოქმედებასა და სულთა სწრაფვასა; მხოლოდ მაშინ მოიპოვებს ნამდვილ ნდობას, როდესაც განსვენებულ ყოველს მის სულის მოძრაობასა და ყოველს ამას იქმს მასწავლებელი მხოლოდ მაშინ, როდესაც აღტაცებულია ნამდვილის სიყვარულით. როდესაც უყვარს საგანი მისის მოქმედებისა და მით გრძნობს ნამდვილს მოწოდებას თავისის სამსახურისადმი. მოიგონეთ დიდებული პესტალოცი, აღმზრდელი კაცობრიობისა, რომელმაც კაცთმოყვარეობის ძალით ესრეთ დაიმდაბლა თავი თვისი, რომელ თავის მოსწავლეებთან ატარებდა დროს დღე და ღამე და თავის ხელით სწმენდდა მათ ულმობელ ბინძურობისაგან!!. უკეთუ, მასწავლებელო, შენ ასწავლი არა ჯილდოსათვის, წარმატებისათვის ანუ რაიმე სხვა ამაო მოსაზრებით, არამედ იმ რწმენით, რომ კეთილს აკეთებ, ჯაშინ შენი მოქმედება არის ნამდვილი ღვაწლი, კაცთმოყვარეობით გამოწვეული.—თქვენი მოვალეობა არის ნამდვილ ქრისტიანულ გზაზე დააყენოთ ჩვენი მოზარდი თაობა; საგანი დიდი და პატიოსანია და ნეტარება მას, რომელმაც სავსებით შეასრულოს იგი.—ამისათვის უნდა დაიმდაბლოთ თავი და გამოიარკვიოთ ყოველი სულიერი მოძრაობა მოსწავლისა და ისე დააწყოთ იგი სწავლის დიდს ნაკადულსა, როგორც ეს შესაძლებელია თვითოეულ მათგანთათვის,—როგორც გამოცდილი და გონიერი ექიმი თავის რჩევით და მოქმედებით აღადგენს ს სიკვდილე ლოგინიდგან მომაკვდავს ადამიანსა, ეგრეთ გამოცდილი და გონიერი მასწავლებელი განაახლებს და განანათლებს ყმაწვილის ნორჩს და ჯერ განუშლელს ბუნებასა... და თუ მასწავლებელო, ვერ გრძნობ მოწოდებას შენს თანამდებობისადმი და ასწავლი მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ დაკაკაფოფილო ცხოვრების ქვენა მოთხოვნილებანი—სჯობს სულ აიღო ხელი შენს საქმეზე, ვინაიდგან ასეთის მეცადინეობით არამც თუ ადამიანი ვერ ეყოფა ყმაწვილის გონებასა, არამედ უმეტესად დაბნელებს და დაამდაბლებს მას და იცი ასეთ მომქმედთა რა უთხრა მაცხოვარმა?—„რომელმან დაბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მომართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა დამოთუიკიდოს წისქვილი, ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა (მათ. 18—6).

ცხოვრებაში ხშირად ვხედავთ, რომ ზოგიერთნი თანამდებობის პირნი ბოროტად ხმარობენ თავის უფლებასა და არ იქცევიან ისე, როგორც მოითხოვს ნამდვილი კეთმოყვარეობა; ისინი თავის პირად წარმატებასა და ბედნიერებას შესწირავენ მთელი ერის ცხოვრებასა და თავის საზიზღარი მოქმედებით ნდობა მოიპოებულნი ძირს უთხრიან ყოველივე იმას, რაც შეადგენს ადამიანის სიწმიდეს და სიმდიდრეს; ნუ თუ სთქვას ასეთმა ადამიანმა სიყვარული მაქვსო, ნუ თუ ალიარის მან თავი თვისი ქრისტეანად?!—არა ჭეშმარიტად,—იგი ემსგავსება გველს, რომლის ცხოვრების იარაღს შეადგენს შხამი და არა სიყვარული.

დასასრულ ვისურვებ თქვენთვის ხასიათის სიმტკიცეს და ნამდვილის კაცთმოყვარეობით მოქმედებასა ამ კაცობრიობის აღზრდის დიდებულ საქმეში. ყოველსა ნაკლულევანებასა აღავსებდით კეთილის და გონიერის მოქმედებითა, სოლო თქვენი მოსწავლეების არსებითსა მხარესა შეუცვლელად დასტოვებთ და ამ მოსაზრებით და განზრახვით ჩვენს ხალხს აღუზრდიდეთ და მივსცემდეთ სანეტარო მომავალსა.

ბლაგ. მდგ. სიმონ ჭელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკული შენიშვნები.*)

(დუტუ მეგრელის მოთხრობანი და ლექსები 1901 წ.

IY.

ასეთი სახელწოდებით მონათლეს, ვიმეორებ, ძველი კრიტიკის წარმომადგენლებმა ახალი პოეტების ლირიკის საგნები და გულღიად დასცინოდენ იმათ პოეტურ ნიჭს და აღმფრენას.

ძველი კრიტიკა იმ აზრისა იყო, რომ პოეტმა მარტო თვისი საკუთარი გულისწადილები, გრძნობათა უნიადაგო ცელქობა გამოხატოს, საკუთარი თითების ლოკვაში პოეზიმ საზრდო და უმღეროს ტკბილ ოცნებას, გულის შემაქცევარ სურვილებს. ამ ძველ კრიტიკას კვლავ დაუბრუნდა ახალმოდის კრიტიკა და იმნაც დღეს ძველებურ ჰანგებზე მოგმართა თვისი ტკბილი საუბარი. ამნაც სრულიად თავისუფალი გახადა პოეტი, ახადა მას საზოგადობრივი, სახალხო სამსახურის უფლება და წაართვა აგრეთვე მას ხალისი მოქალაქის სახელის ტარებისა...

ამ ახალი მოდის კრიტიკასაც არა აქვს გარკვეული და ახსნილი თვისი ხელ-სამძღვანელო კრიტერიუმი და ეს იმიტომ მოხდა ასე, რომ მას არა სწამს, ალბად, ახალი შენაძენები მეცნიერებისა, თანამედროვე ფსიხოლოგიისა, სადაც ახსნილია და გარკვეული მთელი ესტეტიური სიამოვნებისა, თუ უსიამოვნო გრძნობათა ევოლუცია სამხატვრო ნაწარმოებისა. იქაა გარკვეული, სხვათა შორის, ისიცა, რომ სიცოცხლე ადამიანისა მოძრაობა და მოქმედებაა. სიამოვნება ჩვენი არის ნერვების მოძრაობა და, რაც უფრო ხშირად და ზომიერად სიამოვნებს ნერვი, იმდენად უფრო ხშირად მოძრაობს, მოქმედობს, ფიზიზლდება, ვითარდება და იძენს შემოქმედობის ძალას ადამიანი. მწერალიც, როცა თვისი კალმის ნაწარმოებით სიამოვნებას მოგვგვრის ხოლმე, იგი ამით გვაყენებს კარგ გუნებაზე, გვამაღლებს ზნეობრივად გვიმატებს ენერგიას და ჩვენი თვალის წინ შლის ახალს იდეალებს, ახალს ჰორიზონტებს...

— კი, მაგრამ, რა სიამოვნება შეუძლია აღძრას ჩვენში დუტუ მეგრელის ლექსებს, როდესაც იგი მუდამ ტირილსა და „ცრემლთა“ ღვრაშია, როცა იმას ყოველ ფეხის გადადგმაზე არარაობა და სიკვდილი აგონდება, მეტყვის მკითხველი.

გულდასმით არ წაუკითხავს, ალბათ, მკითხველს დუტუს ლექსები, თვარა ამას არ იტყოდა.

დუტუ მეგრელის ლექსთა უმეტესი ნაწილი, მართალია, მკითხველში იწვევ მეტად მწარე ფიქრებს და ნაღვლიან გრძნობებს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ იმისი ლექსები სხვის უბედურებაზე გვითითებენ და ამით აღძვენ თქვენს გულში სურვილს შველისას, სხვათა დახმარებისას. წაიკითხეთ, თუ გნებავთ, იმისი ლექსი „მკურნალს“, სადაც იბოვით მკითხველის ფიქრთა პასუხს:

„არა, მკურნალო, ჩემ თვალთ არ ძალუძთ
მაშინ არ ღვარონ ცრემლი მდუღარე,
როცა სხვის ტანჯვას მივჭერებივარ,
როდესაც ვინმე არის მწუხარე!
ჩემს გულს არ ძალუძს, რომ არ აღელდეს
უსამართლობა რომ ჩემ წინ ხდება;
ენას არ ძალუძს იყოს ჩუმადა,
როს საჭიროა გამოსარჩლება!
მოვკვდები?. მოვკვდე!—ვერ დაიპერსო
სიკვდილს გზა ვიწრო, ვერცა კლდიანი!
განა პირუტყულ სიცოცხლეს არ სჯობს
კაცურად მოჭკვდეს ადამიანი?!..

მეორე ლექსი „ცას გადაკვრია ღრუბელი“, ჰგინეს ლექსს მოგვაგონებს, სადაც პოეტი ამბობს, რომ ჩვენი სიცოცხლე ადარც სიცოცხლეს გავს, ადარც სიკვდილსო, ბარემ მოეღოს ბოლო ასეთს ყოფასო:

„... ოღონდ ნუ სძინავს ბუნებას,
ნუა მკვდარს დამსგავსებული,

*) იხ. „შინ. საქ.“ № 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ არის ქვეყანაზედა
სიცოცხლე შეჩერებული!..

ამგვარივე ხასიათისაა ლექსი „ხუთი სურათი“ სადაც ძალიან მწარე „თავზარდამცემი“ გრძნობაა გამოხატული, მაგრამ დუტუ სულით არ ეცემა:

„... მაგრამ, არამც თუ არ ვაგდებ კალამს
მინდა მეჭიროს ხელში მარადის,
რომ თუ ამგვარი მელის მეც ბედი
ბევრის თქმა მაინც შევძლო მადამდის...

ერთი ლექსის „პოეტის“ წერის დროს დუტუს, ალბად, მოაგონდა ნ. ნეკრასოვის სიტყვები: „стихи мои свидѣтели живые за міръ пролитые слезы“ და ამბობს:

„... პოეტი ლექსს სისხლითა სწერს,
და ის ლექსი აცოცხლებს მას, კი არ
ატბობს...“

კარგი ლექსი აქვს დუტუს აკაკის მიბაძვით დაწერილი:

„შეეჩვია ტანჯვას სული და გული...“

დიდი სიმარტივის, გულის სიმართლის და გულწრფელების ბეჭედი აზის მისს ლექს, როცა საკუთარ გოდების ხმებს გამოსთქვამს:

„ამბობენ შეგვაწუხაო
ამდენმა მოთქმა ტირილმა!..
საკვირველია! მაშ რა ქნას,
იცინოს მამელის შვილმა,
რომელმაც იცის, რომ მტრისგან
ვერ დაძლეული სამშობლო
მისივე შვილთ პირ უტკბეცებამ
დაღუბა, მოუდო [illegible]ილო?
და ხედავს ახლაც. ისინი,
ვინც მიაჩნია მხსნელად [illegible]ერს.
შურით და მტრობით [illegible]ვსილ ნი
მხოლოდ ებრძვიან [illegible]ერთ ანეთს?!.
არა, დე, სხვებმა იცინონ,
შეამკონ ღვინო, ქალები,
მე კი ვიტირებ, ვიდრემდის
ტირილს შესძლებენ თვალები,
ან ვიდრე ჩემის ცრემლითა
არ მოვრწყავ მთელს ჩემს ქვეყანას
და არ გამოვადებინებ
ნაყოფს, რომ მინდა მისთანას!..

ენერგიული ლექსი აქვს დაწერილი „მოთქმა“

« საჭე გამიტყდა ნიჩაბი
ხელიდან გამომეცალა...,

სადაც ამბობს:

. . ხან ცას შევყურებ ვედრებით
ხან ადამიანთ ვეძახი;
მაგრამ ყრუ არის ზეციერ ცა
და უგულოა ქვეშ ხალხი...“

ამ თუთხმეტი წლას წინათ მთელი ჩვენი ინტელიგენცია, ქართველთა საზოგადოება და მოსწავლე ახალგაზდობაც ორ დიდ ბანაკად იყო გაყოფილი თფილისის საადგილ-მამულო ბანკის გარშემო ატეხილი ბრძოლის გამო. ორი განთქმული ივერიელი ებრძოდა ერთი მეორეს—ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. მართლად ც დიდი, სამაგალითო ბრძოლა იყო ამ ორს დაუვიწყარს მოღვაწეთა შორის ატეხილი, რომელიც არ წაგავდა „ღომი ჭამია“ იმერელ-გურულების აფუაბუნებას.. „შალთაი ბალთაის“...

უეჭველია ამ გარემოებამ დააწერინა დუტუ მეგრელს ლექსი:

„ღმერთო, რას ვხედავ?! იგივ საზარი
განხეთქილება მეთაურების,
შური და მტრობა და სამსახური
ოლოდ პიროადის ინტერესების..
... ახალგაზდობა?.. ვაი სირცხვილო,
თავის საკუთარ აზრის არ მქონე,
ბრბოში გაქნილა და იკარგება
ტყუილ-უბრალოდ მისი ძალ-ღონე:
არც დედა ენა, აღარც მწერლობა,
აღარც ტირილი დამშეულ ხალხის
მას არ აზიდავს. მხოლოდ ბანკებზე
და მათ გმირებზე ყვირის, იძახის...

აქ დიდად შემცდარია დუტუ მეგრელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ისე, როგორც სცდება ამ აზრის პირველი მქადაგებელი ჩვენი უკვდავი მგოსანი აკაკი. საადგილ-მამული ბანკებზე ფ ქრი და ზრუნვა დიდი საეროვნო საქმეა, რ დგან ეს ორი საქვეყნო დაწესებულება დიდ სამსახურს უწევს მთელ საქართველოს, წოდების. განურჩევლად.

გარდა პირდაპირი თავისი დანიშნულებისა, ე. ი. იმ დანიშნულებისა, რაც სარგებლობა მოაქვს თანამედროვე ეკონომიურს ურთიერთობაში, ყოველს საკრ �ულო დაწესებულებას, საადგილ-მამულო ბანკებში გონიერი ფინანსიური პოლიტიკის წყალობით მოგრავილი ფული ხმარდება მოზარდ თაობის სწავლა-განათლებას, რომელ ... ჩვენში ვერაფერი საქმე ვერ შეეძრება ... ...

გარდა ამ დიდ ... ქმისა, მოკლედ მოვიხსენებ აქვე იმასაც, რომ თფილისის საადგილ-მამულო ბანკმა ქართველობას ხელში ჩაუგდო ისეთი დიდი და მდიდარი ქარვასლა სასახლის ქუჩაზე, რომელიც მთელ ქუთაისს იყიდის იგი მამული თვისი მაღალ ბ ...ით, შადრევნებით, თეატრით, ბაღით, ბანკის შენობით და სხ.

მე შემეძლო ეს ჩემი აზრი უფრო გამერკვია და დამესაბუთებია, რასაკვირველია, მაგრამ მეშინია, რომ ძალიან უბრალო ეშმარიტებასაც ვამბობ და, მეორე ესეც არის, რომ ასეთს მსჯელობას აქ ადგილი არა აქვს და სტატიას გაგვიშიაურებს.

ხომლელი.

შემდეგი იქნება.

ვეირიდამ-ვეირამდე.

სოფ. გეგუთის მედავითნეს, იმავე სოფლის მწერალს, ბ. კაპეტივაძეს ქუთაისის ოლქის სასამართლომ სამი წლის გამასწორებელი რეტა მიუსაჯა სალდათობის საქმეში ბოროტმოქმედებისათვის.

სინოდის სმეტა წელს 40 მილიონ მანეთს თხოულობს, რაც $2^1/_2$ მილიონ მანეთით მეტს შეადგენს შარშანდელზე.

განმარტებაში ნათქვამია, რომ ობერპროკურორს აზრათა აქვს შეიტანოს სახელ. სათათბიროში კანონ-პროექტი, რომლის ძალით სინოდის წევრებს უნდა დაენიშნოთ შემდეგი განსაზღვრული ჯამაგირი: წინამყოფელ წევრს პეტერბურგის მიტროპოლიტს 5,000 მანეთი, მოსკოვისას და კიევის მიტროპოლიტებს 4,000 მან. თითოს და ხუთ ეპისკოპოსს 2,400 მ. თითოს.

ობერპროკურორი შენიშნავს, რომ მართლმადიდებელნი იერარქნი არ ღებულობენ თანასწორ ჯამაგირს, ზოგი ძრიელ მცირეს ღებულობს და ზოგი ძრიელ მეტს. ამიტომ ობერპროკურორს აზრათ აქვს შეიტანოს კანონ-პროექტი ყველა ეპისკოპოსთა განსაზღვრულ ჯამაგირის დანიშვნის შესახებ. სულ მცირე ჯამაგირი ეპისკოპოსთათვის განსაზღვრულია 6,000 მ. წელიწადში. კაზანის, ხარკოვის, ლიტვის, ხერსონის, ვოლინის, კიშინევის და საქართველოს ექსარხოსისთვის ჯამაგირი განზრახულია 18,000 მანეთი წელიწადში; მიტროპოლიტთათვის 36,000 წელიწადში; ქორეპისკოპოსთათვის 3,000 მან. მოსასვენებლათ დათხოვნილ ეპისკოპოსთათვის განზრახულია პენსია 4,000 მან. წელიწადში, 1000—1500 მანეთის მაგიერ, რომელსაც ღღეს ღებულობენ.

---

6 სეპტემბერს ყ.-დ სამღვდელო გიორგიმ საკრებულო ტაძრის და ქალაქის სამღვდელოების თანამწირვლობით გადაიხადა პანაშვიდი განსვენებულ პ. ა. სტოლიპინის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დესწრო ბ. ვიცე-გუბერნატორი, თავადაზნაურობის წარმომადგენელი, ჩინოვნიკობა და მასწავლებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიოდორეს თარეშობას საზღვარი აღარ აქვს. ის მქუხარე სიტყვებს ლაპარაკობს მოედნებზე და კიცხავს ადგილობრივ ადმინისტრაციას, მდიდრებს, სასამართლოს, ებრაელებს და ინტელიგენტებს.

ერთ მოედანზე საოცარი სიტყვა წარმოსთქვა: სხვათა შორის უამბო ხალხს, რუსეთის ციხეების მდგომარეობაზე, სახჩობელაზე, რუსეთ-იაპონიის ომზე, რომელიც რუსეთმა მოღალატეების და მოხელეების ქურდობის გამო წააგო. მან გაკიცხა სარატოვის გუბერნიის მართველი. რადგან ის არ შეხვდა ილიოდორეს როდესაც იგი ქალაქში შევიდა, და არ გაუმართა მას ავაციები ისე, როგორც სხვა ქალაქებში ხთებოდა. ადგილობრივ მოსამართლეებს ულმერთოები უწოდა, იმისთვის, რომ საწყალ ხალხს უსამართლოდ სჯიან. ადგილობრივ ადმინისტრაციას შემდეგი სიტყვით მიმართა: „თუ თქვენ ხელს შეგვიშლით, როდესაც ჩვენ სახალხოთ დავსწვავთ იმისთანა თოჯას, რომელიც სიმვოლიური გამომხატველი იქნება ებრაელების და რევოლიუციის, მაშინ თქვენც გამოგიფატრავენ მუცელს“.

შემდეგ მან დაუმატა საოცარი სურათი, მომავალი შიმშილის და წყევლა შეუთვალა საწყალი ხალხის მყვლეფელებს.

სარატოვიდან დეპუტაცია გაემგზავრა ეპისკოპოზ გერმოგენთან და სთხოვენ მას დაიცვას ილიოდორე მისი პირადი მტრებისაგან. გარდა ამისა ითხოვენ ნებას იარაღის ტარებისას, რათა დაიცვან ილიოდორე. ადგილობრივ ადმინისტრაციას თურმე იარაღის ტარების ნება არ მიუცია.

—

ვოლოგდაში საიდუმლო პოლიციის განკარგულებით რამოდენიმე გადმოსახლებული სტუდენტი დაატყვევეს. დატყვევებულთ იატაფით პეტერბურგს აგზავნიან.

—

სოხუმში ეპისკოპოზ ანდრია დანიშვნის და მის შემდეგ მომხდარ ინციდენტის გამო, საეკლესიო კითხვების მცოდნე ცნობილი დურნოვო „პეტერბურგის ვედომოსტში“ სწერს: „საქართველოში სამსახურს განსაკუთრებული ხასიათი აქვს. ვინც საქართველოში სამსახურს იკისრებს, ის ჩვენიაო, ამბობდა პობედონოსცევი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ის ყველაფერზე დათანხმდებაო.“

თფილისისა და ქუთაისის სემინარიების მრავალი ათეული მოწაფე სასწავლებლიდან გამოგდებული ახლაც ყოველივე ადამიანურ უფლებას მოკლებულნი დადიან. რუსეთში არიქიელებს სამწყსოსადმი სიყვარული კი არ ამაღლებს, არამედ სიძულვილი და უსამართლობა თუმცა უცხო ტომისა, მაგრამ მართლმადიდებელი სამწყსოსი. რა უნდა გააკეთოს სოხუმში ანდრიამ, სადაც მას გარუსების პოლიტიკის მიმდევრების ინტერესები მოელის?

რადგან ანდრია სულ სხვა მიმართულებისა და ზნის ადამიანია. ამ მდგომარეობის სიმძაფრე უფრო ღრმაა კიდევ იმით, რომ ჯერ ერთი ის მიდის ისეთ მხარეს, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველებია, რომელთაც სურთ ქართველი არქიელი და არა რუსი, და მეორე კიდევ იმ ეკლესიაში, რომელიც 1390 წლიდან ითვლება ავტოკეფალურ მდგომარეობაში, მაშასადამე მიდის, რომ დაარღვიოს წმინდა კანონი. ყოველივე ამ მოსაზრებით ავტორი იმ სამწუხარო დასკვნამდი მიდის და ამბობს: საქართველოში ანდრიას დანიშვნით უმაღლეს ადგილზე, სინოდს მხედველობაში ქონდა არქიელის ნდობა შეერყია და ადგილობრივი ქართველ მცხოვრებლებს მისდამი სიძულვილი გამოეწვიაო.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას გვწერენ? რაჭიდან

ს. ნიკორწმიდაში 4 კლასიან სამოქ. შკოლის დაარსების გამო.

10 წელიწადი იქნება, რაც თავდაპირველად ს. ნიკორწმიდაში 4 კლასიანი სამოქალაქო შკოლის დაარსებაზე აღძრა საკითხი ადგილობრივმა მღვდელმა ა. ფოფხაძემ, მაგრამ—საკითხის აღძვრამ არ იკმარა—საქმეს მეთაური და გამძღოლი სპირდებოდა, მ. ფოფხაძე კი ქალაქ ქუთაისის მახლობლად იქმნა გადაყვანილი, და ამ საქმეს ზრუნვით გამძღოლი არავინ გაუჩნდა, ამიტომ გლეხებმაც იწყეს მეცადინეობა და ამოირჩიეს გლეხი ს. ჯავახიძე საქმის მაწარმოებლად. რა თქმა უნდა 7—8 წლის წინათ კი არა, დღესაც ბევრია წინაალმდეგი ასეთი დიდი შკოლის დაარსების. შკოლაო—ამბობს უმეტესობა: შვილებს გაგვიზარდაცებს, მუშაობას აღარავინ იკადრებს, ხარჯი კი მოგვემატება, ვინც ისწავლა რა გაგვიკეთა, შკოლასთან ქალები ვეღარ გაივლის და სხვა.. ძნელია ასეთ ხალხში—კეთილი საქმის განხორციელება. შკოლის აუცილებლობის აზრს ხალხში გატარება, თანაკრობასთან მისვლა-მოსვლა და თხოვნა, აგრეთვე ზოგიერთ ხელის შემშლელ პირებთაგან ბრძოლა, თავს იდვა ზემო ნაჩვენებმა არჩეულმა გლეხმა ს. ჯავახიძემ. საქმე იმ ზომამდი მივიდა, რომ თვით საბოსწავლო ოლქის მზრუნველმა რუდოლფმა ინახულა ს. ნიკორწმიდაში ის ადგილი (სახელად მაიდანი) სადაც უნდა აშენდეს სამოქ. სასწავლებელი. რადგან მთელ ნიკორწ. საზოგადოებაში შკოლის ასაგები ადგილი უკეთესი არსად მოიპოებოდა, ამიტომ მზრუნველმა დაავალა ნიკორწ. საზოგ. ზოგიერთ ინტელიგენტთ და უთხრა: „ფორმალურად ადგილის არჩევა უნდა მოხდეს ხალხისგან და თქვენ იმეცადინეთ, რომ აქ (ნიკორწმიდაში მაიდანზე) აირჩიოს საზოგადოებამ და წარმომიდგინეთ პრიგოვორიო“. სწორეთ ამ დღიდან იჩინა თავი მეზობლურმა შურმა და შეუნენგლობამ, სამწუხაროდ ისიც ინტელიგენტთაგან, რადგან ეს ბ. ბ. ინტელიგენტნი ს. ნიკორწმიდაში მცხოვრენი არ არიან, ამიტომ ატეხეს განგაში, რომ ნიკორწმიდაში არ არჩეულიყო შკოლის ასაგები ალაგი, არამედ თავთავიანთ რომელიმე სოფელში.

საქმე შემდეგშია: ეს რამოდენიმე ხანია ს. ნიკორწმიდის საზოგადოებას შამოუერთეს ხოტევის საზოგადოება, რომელიც მდებარეობს ნიკორწმიდიდან აღმოსავლეთით, ღრიანკელ ადგილებში და რადგან ეს ხოტევის საზოგადოება დღეს ნიკორწმიდის საზოგადოებად ითვლება და ამ შკოლის განაჩენდ'შიდაც ჩარიცხული, ამიტომ მიუხედავად სასკოლო ადგილის სიკეთისა, მიუხედავად 5000 მ. ს. ნიკორწმიდისგან შეწირულებისა, მიუხედავად ოლქის მზრუნველისაგან მოწონებისა, უბრალო მეზობლურ შურზე აგებულ ეინიანობის გამო ამ შამოერთებულ ხოტევის საზოგადოებას ღრიანკელ და უვარგის ადგილზე უნდა აშენდეს.

ხოტ. საზოგადოება ხელმძღვანელობს მით, რომ ვითომ კანონით შუა ადგილზე უნდა იქმნეს შკოლა აგებულიო, მაგრამ კანონის ასე ბრძანთ შეხედვაც არ ვარგა: 1) მით, რომ რაჭა საზოგადოთ და ხოტევის საზოგადოებაც გარდა ს. ნიკორწმიდისა მეტის-მეტი მთა-გორიანი და ღელე მეწყრიანი ადგილებია და აქ, რომ გაზომით შუა ალაგი გამონახოთ, სამოქალაქო შკოლა კი არა კაციც ვერ გაივლის ისეთ მეწყრიან ადგილს მივადგებით და 2) მით, რომ ს. ნიკორწმიდას თუ აღმოსავლეთით ხოტევის შამოერთებული საზოგადოება ეხლავს, დასავლეთით ნამანევის, და ჩრდილოეთით ზნაკვის საზოგადოება ახლავს, რომელნიც ს. ნიკორწმიდაში შკოლის დამფუძნებელ მონაწილეებთან შედიან და ამ შემთხვევაში შუა ალაგიც ნიკორწმიდაა; ასეც, რომ არ იყოს, კომლთა რაოდენობის სიახლოვით ნიკორწმიდაში აღნიშნულ საშკოლო ალაგს გაშორებით ღირსება აქვს, ვიდრე ჭელიაღელეში ხოტეველე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისგან დასახელებულ ალაგს. შკოლის ასაგები ადგილი ს. ნიკორწმიდაში „მაიდანი“ და ს. ჭელიაღელეს „შეშაური“, რომ შევადაროთ დავინახავთ შემდეგს: 1) ნიკორწმიდაში—„მაიდანი“ არის მაღალი და გაშლილი ადგილი საშკოლეც და მთელი არე მარე მახლობლად საშკოლე ადგილისა, 2) ჰაერი სუფთა და მრთელი, ჰავა შედარებით ზომიერი, 3) აქ სხვა და სხვა საზოგადოებიდან 4 შარა გზა იყრის თავს, 4) არსებობს ავთიაქი, 5) ამ მოკლე ხანში მოელიან ფერშალს, 6) საისტორიო ტაძარი—სობორო, 7) არის თვით საშკოლე ალაგთან და ყველგან ამ სოფელში მშვენიერი სასმელი წყლები, 8) არის სანოვაგის, ფართლეულობის, საწვრილმანო და სამოხელო დუქნები, 9) არის პოსტი სტრაჟისა, 10) არის ნიკორწმიდის კარგს გაშლილ ადგილზე მოსახლეობა კარგის სახლებით, სადაც უფრო ადვილია მომსვლელ მოსწავლეების ბინადრობა და სხვა...

ახლა მეორე ადგილი, რომელსაც ხოტეველები ასახელებენ ს. ჭელიაღელეს „შეშაური“ 1) არის დიდათ ჩავრდნილი, 2) თვით შკოლის ასაგებ ადგილს აქვს შამორტყმული ღელე—მეწყრიანი გორები, 3) არის ჭაობიანი, 4) არსაიდან გზები მხოლოდ ერთი გზა გაივლის, 5) არის ვეებერთელა ჭელიაღელის ტბა გადამდგარი თავზე სულ ახლოს, 6) თვით ამ ადგილზე, რომ დგებართ ცის მეტს ვერაფერს ხედავთ—გადახედეა ან შეხედეა სხვა სოფლის შეუძლებელია. 7) არ ახლავს ხშირი მოსახლეობა ისე, როგორც ნიკორწმიდას, რომ მოსწავლეების ბინადრობა შეიძლებოდეს. ახლა მკითხველმა განსაჯოს სად უფრო საჯობს ხსენებული შკოლის აგება?

ი. ნიკორწმიდელი.

ნარევი.

თუთუნში დასარჯული მილიონები.

თუთუნის წევის უბედურები დღითი დღე იზრდება. ადამიანები თანდისთან თავის ნებით იწამლავენ თავს იმ შხამით, რომელსაც იგინი აგროვებენ თავის ასეულში თუთუნის წევით. თუთუნის წევა თანდისთანობითი თვითმკვლელობაა. ძველ დროში თუთუნის წევა სასტიკათ იყო აკრძალული და რუსეთში თავისუფლათ არავის შეეძლო თუთუნის შემოტანა. რუსეთში თუთუნის შემოტანა პირველათ ინგლისელმა გეპელერმა დაიწყო იოანე მრისხანეს დროს. პეტრე დიდმა ნება დართო თუთუნის წევას და მის თავისუფლად შემოტანას რუსეთში, და 1714 წ. ახტირკაში (ხარკოვის გუბერნია) გაიხსნა პირველი თუთუნის ფაბრიკა. რომ ვიანგარიშოთ, რამდენი ფული დაიხარჯა მას აქეთ თუთუნში, შემაძრწუნებელ ციფრს მივიღებთ. თანახმად იმ სტატისტიკური ცნობებისა, რომლებიც შეკრებილია გარეშე გარდასახადების ანგარიშებში, მხოლოდ გასულ წელში მოუწევიათ 16 მილიარდი (მილიარდი ათასი მილიონია) პაპაროსი და სიგარა, გარდა თუთუნისა და შინ გაკეთებული პაპიროსებისა.

აკციზის გადასახადი თუთუნიდან შემოსული ზარშან 35 მილიონი მანეთი, ხოლო თუთუნი მოწეული 75 მილიონ მანეთისა. ამდენი აუარებელი ფულის დაღუპვა ასეთი არა საჭირო და მაგნებელ ჩვეულების დასაკმაყოფილებლად?! რამდენი სასარგებლო და კეთილი საქმე შეიძლებოდა გაკეთებულიყო ამ ფულით, თუ რომ თუთუნის მწეველები საზოგადო სიკეთისათვის შეთანხმებულიყვნენ და თავი დაენებებინათ ამ უმნიშვნელო ჟინისათვის! მაგრამ ცოდვა კაცზე უძლიერესია. კაცი მშვენიერად გრძნობს, რა დიდი ვნება მოაქვს თუთუნს მისი ტანმრთელობისა და ჯიბისათვის და მაინც ეწევა. თუთუნის ყნოსვაც მეტად გავრცელებულია რუსეთში. წასულ წელში რუსეთს ცხვირში შეუყრია 300 ათასი ფუთი თუთუნი.

რა ტყუილა ვემდურით ბედს, რომ ღარიბები ვართ! რამდენი ასეთი ცუდი და მავნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი ჩვეულება გვაქვს, რომლის მოშლა ტანმრთელობასაც შეგეძინდა და ცხოვრების სახსარსაც. განსაკუთრებით ეს უნდა ვსთქვათ ჩვენ მღვდლებზე, რომლებსაც გარდა ამისა წოდებაც და სიღარიბეც უნდა აიძულებდეს: ჩვეულების დატოვებას.

მადლობის გამოცხადება.

მ. რედაქ(ორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნებ ، მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“ საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო მე და ჩემი მრევლის მ რით რწმუნებულს ჩემდამი სამრევლოშივე მცხოვრების შიო გაბაძის მეუღლეს მართა სვიმონის ასულს, რომელმაც რწმუნებულს ჩემდამი ?აჯითის სამების ეკლესიას შემოსწირა ერთი ხი მლი—(კანდელი), ღირებული ორმოც მანეთად. ვისურვებ მას წამბაძველები გამოჩენოდენ და არ დაეშუროსთ თავიანთი წვლილი ჩვენ ، ახალი ეკლესიის გამშვენებისათვის.

სოფლის ბაჯითის სამების ეკლესიის
მღვდელი ბიკტორ ტუმანაძე.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მაჭიდლიძე.
გამომცემელი, იოსებ ლეჟავა.

ზანგცხადებანი.

ვამზადებ

ქ. ფოთში ვაჟებს და ქალებს ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისათვის, სიმწიფის მოწმობაზე, აფთექის შაგირდობაზე, სამრეკლო, სასალხო, საოჯახო და სამაზრო მასწავლებლობაზე, პირველი კლასის ჩინისთვის და სხ., აგრეთვე სპეციალური მაცადინობა ახალს და ძველს ენებში. მაცადინობა სინიდისიერი, ფასი ზომიერი.

ადრესი: ქ. ფოთი, საკაფო გემნაზია, მღ. მელიტონ კელენჯერიძე.

სტამბა „ᲨᲠᲝᲛᲐ“

— ᲓᲐᲑᲐ ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ —

ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ

ᲓᲔᲑᲣᲚᲝᲑᲡ ᲣᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲡᲐᲡᲢᲐᲛᲑᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.

ᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ: ᲑᲚᲐᲜᲙᲔᲑᲡ, ᲐᲤᲘᲨᲔᲑᲡ, ᲙᲐᲜᲪᲚᲘᲡᲓᲔᲑᲔᲑᲡ, ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲡ, ᲑᲠᲝᲨᲘᲣᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲛᲐᲡᲬᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ: ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ, ᲜᲘᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐᲡ, ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲑᲘᲐᲠᲝᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲕᲔ ᲙᲝᲜᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲙᲒᲠᲘᲨᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲔᲑᲡ, ᲙᲕᲘᲪᲐᲜᲪᲘᲔᲑᲡ, ᲘᲐᲠᲚᲘᲚᲔᲑᲡ, ᲡᲐᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲡ (ᲕᲘᲖ. ᲙᲐᲠᲢ.) ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲕᲔ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲜᲗ ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐᲠ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲡᲔᲑᲨᲘ.

ᲠᲐᲨᲘᲓᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜᲗ ᲓᲐᲠᲬᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐᲜᲗ ᲗᲕᲘᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲗᲔᲑᲘ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲨᲠᲝᲛᲐ“.

Адресъ: Типогр. „Трудъ“ Квирылы

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს ყოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშავერს. ასრულებს დროზე, სუფთათ, საიმედოთ და სინდისიერათ.

ფასები ნახატების ღირსებაზე და ზომაზე დამოკიდებული და ყოველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშავერს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავ მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო **ლეონიდეს** ნდობით და გვაქვს მათი მეუფებისაგან შესაფერი მოწმობა.

ადრესი: „შინაური საქმეების“ რედაქცია ან ივანოვის ქუჩა № 14.

„შინაური საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლიროვის **უწყებები** ახალი ფორმისა და ძველი უწყებები (**ВѢДОМОСТИ**) წლიური საბლაღოჩინო ანგარიშებისათვის. ბლანკები „ძმობის“ გამოცემაა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწყვილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Правленіе религіозно Просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.

სტამბა „შრომა“ დაბა ყვირილაში. ● Типографія „Трудъ“ въ м. Квирилы.